

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის
საბჭოს 2015 წლის 19 ნოემბრის სხდომის

ოქმი 1

სხდომას უძღვებოდა: ფაკულტეტის დეკანი ანზორ აბშილავა

სხდომას ესწრებოდა: 69 წევრი

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნა;

ფაკულტეტის დეკანმა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად უნდა გამოცხადდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები. აღნიშნული დებულების მიხედვით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები შეიძლება დაინიშნოს მიმდინარე წლის 10 დეკემბერს. ა. აბშილავამ აგრეთვე საბჭოს წარუდგინა კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნებისა და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას:

პროფ. ი. გუჯაბიძემ; პროფ. ნ. ჯიქიამ; პროფ. ნ. ხუნდაძემ, რომლებმაც გაიზიარეს კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და დაეთანხმნენ არჩევნების ჩატარების მიმდინარე წლის 10 დეკემბერს დანიშვნას.

დაადგინეს:

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 10 დეკემბერს, ფაკულტეტის საბჭოში;
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებისათვის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 26 ნოემბერს და დასრულდეს 3 დეკემბერს;

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს წევრ პროფესორს ან ასოცირებული პროფესორს;
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
5. კანდიდატმა საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს:
 - ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) ასლი;
 - სამოქმედო პროგრამა.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით;

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. აბშილავა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: რ. მანაგაძე